

საქართველოს კანონი

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №17-18, 9 მაისი, 1997, გვ. 8) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. პირველ პრიმა მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 46-ე პუნქტი:

„46. ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატი – ბიოლოგიური და ქიმიო-ფარმაცევტული საშუალებანი ან მათი კომბინაციები, რომლებიც გამოიყენება ცხოველთა დაავადებების სადიაგნოსტიკოდ, პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის ან ფიზიოლოგიური ფუნქციების აღდგენის, გაუმჯობესებისა და შეცვლის მიზნით.

2. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სფეროში, გარდა ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატებისა, სახელმწიფო მართვას ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – წამლის სააგენტოს (შემდგომში – წამლის სააგენტო) მეშვეობით.

3. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

2¹. ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების მიმოქცევის სფეროში საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების (საშუალებების) სახელმწიფო რეგისტრაციას, ხელახალ რეგისტრაციას ან რეგისტრაციის გაუქმებასა და ხარისხის/უსაფრთხოების კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის (შემდგომში – სამსახური) მეშვეობით.

4. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების მიმოქცევის სფეროში სამსახურის ფუნქციებია:

ა) ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების სახელმწიფო რეგისტრაცია, ხელახალი რეგისტრაცია ან რეგისტრაციის გაუქმება;

ბ) ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების ხარისხის/უსაფრთხოების კონტროლი.“

5. მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ და „კ“, 24-ე პუნქტის „ი“ და 25-ე პუნქტის „ბ.კ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

6. მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

7. მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹ პუნქტი:

„4¹. ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ რეგისტრირებული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატები საქართველოში რეგისტრაციისათვის არ საჭიროებენ სარეგისტრაციო გამოცდებსა და რეგისტრირდებიან საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ დადგენილი წესით.“

8. 38-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი.

„4. ამ კანონის ამოქმედებიდან სამი თვის განმავლობაში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს:

ა) საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების (საშუალებების) სახელმწიფო რეგისტრაციის, ხელახალი რეგისტრაციის ან რეგისტრაციის გაუქმებისა და ხარისხის/უსაფრთხოების კონტროლის წესის შემუშავება;

ბ) ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების სარეგისტრაციო მოწმობის ფორმების დამტკიცება.

მუხლი 2. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა 38-ე მუხლის მე-4 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 90-ე დღეს.

2. ამ კანონის 38-ე მუხლის მე-4 პუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი